ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4243731

ნომერი: AR1640262

თარიღი : 26.10.2018

გაცემის თარიღი : 31.10.2018

გაცნობის თარიღი : 01.11.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი IV , ნაკვეთი 05/022;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუკრი ქობალია პ/ნ 62006031448
- vazisubani 4/2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს. ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორიისთვის დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით არ არის დადგენილი კონკრეტული ქვეზონა, მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ განვითარებისთვის პარამეტრების მისანიჭებლად ვერ აკმაყოფილებს ვერცერთი ფუნქციური ზონის პარამეტრებს.

მაგალითისთვის საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ის პარამეტრებია _ მინიმალური ფართობი: 200 კვ.მ.; მინიმალური სიგანე: 9 მ.; მინიმალური სიღრმე: 15 მ.; კ-1 0.5; კ-2 0.8; კ-3 0.3.

შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვინაიდან მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს სამშენებლოდ განვითარებისთვის დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.